ეშმაკის მათრახი



№ 9

1920 წ.
იანვრის 18

33
1920/09
19552



მილიტარიზმი. ჩემი მოსპობა უნდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. როცა დავინახე, რომ ბერლინში
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი საქართველო.

ღრმადა ვარ დარწმუნებული, ყველა ჩემს მეგობარს ეინტერესება: რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ.

მოგახსენებთ; მით უმეტეს, რომ აქ საიდუმლო სრულიად არაფერი არ არის და არა მგონია აღმოჩნდეს ქართველი, რომელმაც ჩემი გულწრფელი აღსარება გამიმტყუნოს.

ჯერ კიდევ არ დავიწყებულა საქართველოში „ფურისა და წიხლების“ შესახებ თქმულება.

პატივცემულსა და აწ საყვარელ ოლივერ უორდროპს ჯერ-ჯერობით ისე კარგათ ვერ ვიცნობ, რომ მას ჩემთვის პირდაპირ მოეხსენებია ეგ სასიხარულო ცნობა, მაგრამ ჩემ ძვირფას თანამშრომელს საშა აბაშელს ვერ დავემდურები თავის მთვალეობის ასრულებაში.

და როდესაც მე მისგან სასიამოვნო დეპეშის ტექსტი მოვისმინე, ინსტიქტიურად შევეკითხე:

— როგორ ფიქრობ, ჩემო კარგო, ხვალ ვიუქმებთ თუ არა?

— ალბათ ვიუქმებთ. ამაზე უდიდესი დღე ჩვენ ჯერ არ გაგვთენებია.

მანუგეშა საშამ და დარწმუნებული ვარ თავიც ინუგეშა:

— ალბათ ამაღამ სადმე ქეიფიც იქნება? ხომ არაფერი იცი?

იყო ჩემი მეორე შეკითხვა ამხანაგისადმი და ამაზედაც გამამხნევებელი პასუხი მივიღე.

თქვენ ალბათ დამცინით, მეგობრებო, და მე მაბრაზებს ეგ სიცილი, ვინაიდან მძაგს მე ყველაფერი ფარისევლური. მე ქართველი კაცი ვარ და მასთან ერთად დამოუკიდებელი და ცნობილი. ჩემი საქმე პირველ ყოვლისა დღესასწაულია და დღესასწაულში კი ქეიფი. ასეთივე ხარ შენც და ასეთივეა იგიც. ყველა ქართველი ასეთია და მაშ რაღას დამცინი?

ქუჩა აუწერელ სანახაობას წარმოადგენდა. ზღვა ხალხმა აავსო რუსთაველის პროსპექტი, დროშების ფრიალმა ააფერადა სახლების აივნები. ხვევნა და კოცნა, ეს განსაკუთრებული ნომერია დღევანდელი დღესასწაულისა. დღიდან ჩემის არსებობისა არ მახსოვს ამდენი კოცნა, რაც ამ ერთ დღეს ავიტანე და მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ გრძნობათა ამ გამოთქმაში არც ერთ ქართველ მანდილოსანს მონაწილეობა არ მიუღია. დიახ... ქართველი დედა ის აღარ არის დღეს, რაც იყო წინათ და რაც უნდა იყოს.

იმზომ უცები, დიდებული და თავბრუდამხვევი იყო რუსთაველის პროსპექტზე გამართული დემონსტრაცია, რომ უნებლიეთ გადამავიწყა უქმიცა და ქეიფიც.

დარაზმული გუნდები გვარდიისა და ჯარისა მწყობრათ მიიღტვიან სასახლისაკენ, სადაც აივანზე გადმომდგარან ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და მისტერ უორდროპი. გუნდი გუნდს მისდევს „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ძახილით. ქვეითა რაზმს ცხენოსანი სცვლის, ცხენოსანს არტილერია და მუშები. დღეც მშვენიერია, სანახაობაც, დღესასწაულიც.

— ეშმაკო ამაღამ სადა ხარ?

გავიგონე ზურგიდან ვარლამის ხმა. მესიამოვნა.

— სად უნდა ვიყო.

— მოდი ქიმერიონში?

— რა ამბავია?

— ქეიფი იქნება.

— დიდის სიამოვნებით.

გულმა ფანცქალი დამიწყო ოჰ, რომ იცოდეთ, რა დიდებული კაცია ეს კერზონი! ერთხანად ინგლისელებზე ძლიერ გულმოსული ვიყავი, მაგრამ ახლა ყველაფერს ვაპატიებ მედა ჩემმა ღმერთმა.

— ოო, გამარჯობა ეშმაკ-ჯან! გადამეხვია ჩემი თედორე და ორივე ყბაზე მწვავეთ აღმიბეჭდა თავისი აღტაცება დღევანდელი აქტით.

— დღეს სად ატარებ დროებას?

— კარგათ არ ვიცი.

— კაცო ამას რაღა ცოდნა უნდა, წამოდი ორიანტში.

— ორიანტში რა ამბავია?

— ამბავი ყველგან ერთია, ქეიფი და დროს გატარება. ხუმრობა დღე ხომ არ არის.

— დიდის სიამოვნებით.

დღესასწაულს თან და თან იშვიათი საზეიმო სახე ეძლეოდა. ვალივო ჯუღელმა ცხენით ჩამომიქროლა და კინალამ გამჭყლიტა. საუცხოვო ცხენი ჰყავს.

— აი ამდენი ხანია შენ დაგეძებ, აქ სად მიკუნჭულხარ შე ოხერო!

მხიარულად ჩამილაპარაკა ვასომ და ჩვეულებისამებრ მხრებზე მაგრათ დამიტაშუნა.

— დღეს საით გიჭირავს გეზი.

— საითაც გზას დავინახავ.

— გზა იმდენია ჩემო კარგო, რამდენი დუქანიც ქალაქშია. ამაღამ ყველგან ქეიფი იქნება.

—ქება და სახელი ქართველი ქაცის ბუნებას. ტყვილათ კი არ გვიცნეს ევროპიელებმა.

— ათასი წლის... მე კიდევ მეტსაც ვიტყვი ორი ათასი წლის ქეიფის კულტურა მაინც ექნება ჩვენს ერს და განა შეიძლება დღევანდელ დღეს ამან თავი არ იჩინოს?

— ჰაი, ჰაი რომ არ შეიძლება.

— მაშ სასტუმრო „ვეტცელში“ გელი.

— აღტაცებით ვიღებ შენს წინადადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საფრთხე“.

მოკავშირენი. როგორ ატყობთ მეგობრებო, ნამდვილი საფრთხეა, თუ მხოლოდ საფრთხობელა?

ნოემ სასახლის აივანიდან სიტყვა დაიწყო და ლაპარაკი შეგვიშალა. პატარა ბავშვმა ჩემს გვერდით წუწუნი მოართო. მასაც უნდოდა დაენახა ჭაღარა წვერი ორატორისა და ბებიას ეხვეწებოდა ხელზე აყვანას. ჩემმა მეზობელმა დასტაცა ბავშვს ხელი და მხარზე შეისვა. ვიღაცამ უკან დამწია.

— ოჰ, გიორგი!?!

— რას გაშტერებულხარ ბიჭო? ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოგართვი, არც კი შეგიტყვია.

— ნოეს ვუსმენდი, ძმაო!

— მაგას სხვა დროსაც მოესწრობი, შენ ის მითხარი, ამაღამ სად ქეიფობ?

— კარგათ არ მაქვს გადაწყვეტილი, შენ არ მომიკვდე. სადაც მოვხვდები...

— მაშ იცოდე, ჩვენები ყველანი „შამპანში„ იქნებიან. შენც იქ უნდა მოხვიდე.

— მთელის ჩემის არსებით. ეს ისეთი იშვიათი დღეა, ჩემო გიორგი, რომ ამას ასე უბრალოთ ვერ ჩავატარებ.

— მაშ ეგრე. იცოდე გელით.

— ლოდინი არ დაგჭირდებათ.

სიტყვის ასრულება მე სწორედ ქართველურათ ვიცი. ჯერ არ მახსოვს ვისმე დავპირებოდე, უთუოდ გეწვევი ნადიმზე მეთქი და არ ამესრულებიოს ჩემი აღთქმა. სხვა მძაგს უპირო, მოდალატე და რაღა გასაკვირია მე თითონ არ გავყვე ამ გზას.

ევგენი გეგეჭკორის ბოხმა ხმამ დაჭფა-ა სასახლის მოედანი და მისი არე-მარე. ის ჩვეულებრივზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ენერგიით და მღელვარებით ლაპარაკობდა მე ძლიერ სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ სახლების მეორე სართულზე აივნებს მოაჯირს ავლებენ ხოლმე. რამდენი მარცხი მოხდებოდა, ეს ასე რომ არ იყოს.

—ბიჭოს, შენ აქა ყოფილხარ? შენი ძებნით შევძარი მთელი ქალაქი. ჩამილაპარაკა ილიკომ და განაგრძო:

— ხომ იცი ამალამ... არ დაიბნე.

— როგორ თუ დავიბნე.

— ხელს არ გადაჰყვე.

— რას ამბობ, კაცო?

— იმას ვამბობ, რომ ქართულ კლუბში ვახშამი გვაქვს. სუფრა უკვე შეკვეთილია.

— ახლა აკეთებინებთ?

— არა, გაკეთებულია მაგრამ ჩვენ მიერ არის დაჭერილი.

— ვინ თქვენა ხართ თუ შეიძლება გვიბრძანოთ.

— დამფუძნებელი კრების წევრები და საზოგადოთ ჩვენი ამხანაგები.

— ვალიკო იქნება?

— იქნება.

— დათიკო იქნება?

— იქნება.

— ნოე იქნება?

— ყველა ერთის გარდა.

— გრიშა იქნება?

— სამი ერთის მაგივრათ. შე კაი კაცო, მთელი ქალაქი იქ იქნება, ასეთ ბედნიერ შემთხვევას ვინ გაუშვებს ხელიდან.

— მაშ მოვდივარ!

დილის ექვს საათზე გამოველი მე ქართული კლუბიდან მხიარული და კმაყოფილი. რა ვნახე იქ კარგათ აღარ მახსოვს. მაგონდება მხოლოდ რამოდენიმე სურათი და ისიც ბუნდოვანათ.

პირველ ყოვლისა სიზმარივით ჩამრჩა ხსოვნაში ვიღაც გრძელ წვერა მოხუცი კაცი. ის ადგებოდა ხოლმე ჩახლეჩილი ხმით, რაღაცას თქმას აპირებდა. მას თამადას უძახოდენ. ბევრი ღვინო სვა. მახსოვს როცა თეთრი ტაშტი მოუტანეს და დაუდგეს... მშვენიერი სიმპატიური სახე ჰქონდა. შემდეგ რა დაემართა კარგათ აღარ მახსოვს.

აგრეთვე ჩინებულათ მაგონდება, როცა ჩემს გვერდით ერთმა ახალგაზრდა მხედარმა ორი ბოთლი ერთმანეთს შეახეთქა და მტვრად აქცია—ასე დაგემსხვრეს მტერი და ორგული, ჩემო ეშმაკოო! დასძინა მან. ძვირფასმა ჩემმა გალაქტიონმა სიტყვა მითხრა, გუნიამაც... ყველაფერი მშვენივრათ მაგონდება.

მაგრამ ეს რასა ჰგავს?! რასა ჰგავს ეს თფილისის ქუჩები? არც ერთი სახლი სახლს არა ჰგავს... ნეტავ ქარი ხომ არ არის?.. მაშ რამ მილრიც-მოლრიცა ეს ამოდენა შენობები?.. ცოტა განზე ვიარო თორემ ეს ბოძი უთუოდ თავზე დამეცემა... ჩვენ ქართველები გვიკვნეს... ვენაცვალე კერზონს... მე კი ამ ჩემ ქალაქს ველარ ვცნობილობ...

— ყრუ ხომ არა ხარ... კინალამ გაგიტანა ავტომობილმა.... ჩამძახეს ყურში.

— ერთი გამსრისე და მე გიჩვენებ... ვენაცვალე როზენს... ჩვენი სამშობლო დღეს... საქართველო ჩვენია, ჩვენია!

ეშმაკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის პროსპექტზე.

მილიკიონერი. შენ, ეი მუტრუკო! ქვეით ჩაუხვიე. ამ ქუჩაზე ვირებს არ ატარებენ.
მუტრუკი. ეს უკანონობაა, მაშ ისინი რათ გაუშვი?

მადლ-მოიეფეს
მეფეთა მეფეს
ჯოჯოხეთისა
რესპუბლიკისა

თ ხ ო ვ ნ ა.

იმის შემდგომად, რაც შეაცდინა ეშმაკმა ევა,
პირველი ქალი,
რათა ცოლ-ქმარსა ეგემათ ხილი და გაჰხელოდათ იმათაც თვალი;
რათა შეეგნოთ ავი და კარგი და სიტკბოება
ეგემათ მისი,
შემდგომ სიტიტვლე მათ დაეფარათ, რასაც
ითხოვდა საღი სინდისი.
მეც, მეც დამწყევლა მოხუცმა ღმერთმა და
გადმომაგდო სამოთხიდანა,
და მას შემდგომად მი-მოვგზაურობ ზე-ქვესკნელამდინ ჯანდაბიდანა.
დიდი ცვლილება მოხდა იმ ქვეყად —ავსულთა-
გროვა აჯანყდა ერთად
და თითეულმა თავისი თავი გამოაცხადეს იქ
სხვათა ღმერთად.
სამოთხის კარი ღიაა ეხლა (აი რას ნიშნავს
რევოლიუცია)
კომისრად არის იქ ბელზებული და მას ბრძანება
გამოუცია:

„ცოდვილები და წაწყმედილები დღეის შემ-
დგომად თანასწორია“.
და ბეწვის ხიდთან დაუმსხვრევია ცოდვათ სა-
წონი, ღვთის სასწორია.
მეფეთ-მეფეო, მპყრობელო კოჰუნისტური ჯო-
ჯოხეთისა;
თქვენს წინა ვდგევარ მე თქვენი მონა და
მთხოვნელი ვარ რამე ერთისა.
მოგეხსენებათ, რომ იდეასა კაცი შესწირავს
თავისსა თავსა,
(ამით ხომ იგი ცოცხლად მკვდარ თავს ჰყოფს
დაუვიწყარსა და თან უკვდრავსა)
და მე კი მინდა, რომ ვემსახურო სიმართლესა
და წესიერებას;
და გთხოვ, მეუფევ, თუ შეიძლება მილიციაში
ჩემსა მიღებას.
რაც შემეძლება არ დავიშურებ, არ მეზარება
შრომა და ჯაფა,
და აწ მიმიღებთ, თუ არ მიმიღებთ მილიციაში
თქვენ იცით აბა.

ისელი.

სადღეგრძელო

ვაცხადებ საჯაროთ, ჩემი მკითხველებისათვის, რომ მე მთვრალი ვარ!

აი გიდი, ბიჭო, ნიტების წერა ვიცოდე! როგორის კრიმანჭულით გეტყოდით ჩემს სათქმელს! განა გულის ღღინი ამ ჩვეულებრივის ასოებით გადმოიცემა!?

მაგრამ, ეჰ! ჯანი გავარდეს! რაკი სიმღერით არ ხერხდება, მოდი, ისევ ჩვენებურათ, ძველებურათ, ვიბაასოთ—ნეტარ ხსენებულის ფარნაოზ მეფისაგან მოგონილი ნიშნების საშვალებით!

მოიცა, მოიცა! ჯერ კიდევ გადავკრა ერთი, თორემ ამ პატარძალივით წელ-წვრილი ჭიქის ცქერას, პირზე რომ ვერცხლის ძეწკვი მოუყენებია, მე ვერ გაუძლებ! ბიჭო! თითქოს აი, ამ წუთში დავცალე! რომელმა ჯადომ ამივსო ასე უცებ?

ეს შენი სადღეგრძელო იყოს, მკითხველო! გრძელი სიტყვა არ მიყვარს და ბევრიც რომ მიყვარდეს, ამ ყოფაში მაინც ვერ ვიტყოდი... ისე მიჭირს პირში ენის მობრუნება, როგორც ლაფში ჩაფლულ კამეჩს დატვირთულ ურმის თვლისა!..

მაპატიე, მკითხველო, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს!... არა, გამოტყდი: ეს ხომ პირველად მხედავ მთვრალსა? ხომ არასოდეს მიკადრებია შენთვის აქ, ამ ჟურნალის ფურცლებზე, ასეთი ლულლული? მე იმას, როდი ვამბობ, ვითომ ჯერ არასოდეს დავმთვრალიყო ჩემს სიცოცხლეში! იმდენი წელიწადი შენ გასძელი, რამდენჯერ მე ლაზათიანათ ავჭიკჭიკებულიყო, მაგრამ იმოდენა რიდი და პატივცემა მაინც მქონია ხოლმე შენი, რომ გამოფხიზლებამდე კალმისთვის ხელი არ მეხლოს, და ასეთი დაბორკილის ენით არ შემეწუხებინოს შენი ყურები.

დასწყევლოს ღმერთმა! აკი შენს სადღეგრძელოს ვამბობდი! მაშ გაგიმაჯოს; სახელი არ ვიცი შენი და გვარი, მაგრამ ეს ხომ ვიცი, რომ მეც და შენც—ქართველები ვართ და ამ წუთში ორთავეს ერთი გრძნობა გვიჭიკჭიკებს გულში. ვენაცვალე იმ გრძნობას! კაცო, არ გიკვირს, ამ ჩვენი გულის ამბავი? თითქოს ადამიანის გული პატარაა! თითქოს შიგ ერთი ჩარექის მეტი არ ჩავაო! მაშ როგორ არის, რომ ამ ზღვას იტევს ეხლა? სასწაულია, სასწაული— ჩემმა მზემ... ეხლა კი გადავკრათ!... ასე!

მოიცა, მოიცა... ეს რა ამბავია? რატომ არა სწერს ეს ოხერი კალამი? გამეფიცა, თუ რა ჯანდაბაა! აი, დასწყევლოს ღმერთმა! მელნის მაგიერ, ღვინოში არ ამომიწია!

ჰო, რა უნდა მეთქვა?... გუშინ უნდა გენახე, გუშინ, თორემ დღეს რა არის?... ის ამბავი რომ მოეფინა ქვეყანას და რუსთაველის ქუჩაზე გამოვედით! ვნახოთ, ჩვენკენ, ვილაც ორი ინგლისელი მოდის... უნდა გეყურებია, როგორ ჩაუარეთ გვერდი და როგორის თვალებით დავაცქერდით ზევიდან ქვეით! არა! გეფიცებით ნამუსსა და პატიოსნებას, მე იმათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს! დეე, იცხოვრონ, როგორც ეპრიანებათ! ჩემი სამშობლო არასოდეს არ იკადრებს იმათი ქვეყნის შევიწროებას, ჩვენ იმათი არა გვინდა რა, მაგრამ ეს კი იცოდნენ, რომ ჩვენთან ხუმრობა არ გაუვათ! მათთვის სჯობია, ფრთხილად იყვნენ! ის ამერიკაც და თუ გნებავს, შენი საფრანეთიც! საერთაშორისო ოჯახში რომ შევიყვანეთ და პურ-მარილით დავუხვდით ჩვენებურათ, ქართველურათ—ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ფეხები სუფრაზე დაგვილაგონ! არა, ღვთის წინაშე, კაი ბიჭები კი არიან, მაგრამ ჩვენთან მაინც ვერ მოვლენ...

საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო! აკი ისევ გავსებულა ჩემი ჭიქა! რა გაეწყობა გადავკრათ!

ეს, იცი, რა იყოს? ეს გაუმაჯოს იმ ბუმბერაზ გრძნობას, ჩვენს პატარა გულში რომ ეგრე უცნაურად მოთავსებულა! იმ ახალ ჯადო-გრძნობას! ასე! მოდი, შენც გადაჰკარი, ჩემო მკითხველო!

თაგუნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის ქრონიკა.

ამიერიდან ყველა უცხო სახელმწიფოთა გემები შეიძლიან ისეთ ნავთსადგურებშიაც, როგორიც არის გუდაუთი, ანაკლია და ოჩემჩირე. ეს ფრიად მნიშვნელოვანი აქტი შედეგია იმ ნოტისა, რომელიც ჩვენმა ელჩმა აქ წარუდგინა ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

—

საქართველოში არსებობს საცდელი მინდვრები. ბათუმში კი სამაგიეროდ არსებობს საცდელი სასწავლებლები. მაგალ. უმაღლეს პირველ დაწყებით სწავლებლის 13 ოთახში მოთავსებულია 60 რუსი შეგირდი. ოთახები, რომლემაც იატაკ-ჭერიან-კედლებიანათ შემოსილია სქელ კლიონკით, დღეში სამჯერ ირეცხება მოხარშული წყლით. ჩვენ ქართულ გიმნაზიის შენობაში კი სწავლა სწარმოებს დღეში ორჯერ და თვითეულ ოთახში მეცადინეობს 60—70 შეგირდი.

—

ადგილობრივ მეყასბეებს ნურიის სურსათ-სანოვაგის მოვაჭრეთა ბიურომ რადიოთი დაუგზავნა ცნობა აგენტებს გურია-იმერეთ-სამეგრელოში: ყველას, ყველას, ყველას... ამიერიდან შარა-გზა ლელვას მიმართულებით ბათუმისკენ თავისუფალია. ამისათვის ქარავანა უნდა იმგზავროს ამ მარშრუტით, რკინის გზას ნუ ენდობით.

—

დღეს ღამის 12 საათზე ჩვენმა ელჩმა ინახულა ინგლისის გენ.-გუბერნატორი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა (როგორც ამბობენ გათენებამდის გასტანაო) ჩვენი გემების თავისუფალ შესვლის შესახებ ყველა სახელმწიფოთა პორტებში, რომელიც კი ამ ჟამად არსებობს დედამიწის ზურგზე. ინგლისის გენ.-გუბერნატორი დიდის თანაგრძნობით შეხვედრია ამ შუამდგომლობას და აღუთქვამს ყოველივე დახმარება.

ამის შესახებ ელჩმა ვრცელი მოხსენება გააკეთა ჩვენს ეროვნულ საბჭოში. საბჭომ მოიწონა ელჩის მოქმედება და დაავალა მასვე, აცნობოს დაუყონებლივ ეს ჩვენ მთავრობას.

—

პირველი მერცხლები*) ჩრდილოეთიდან უკვე მოფრინდნენ ქ. ბათუმში. ეტყობა, წელს აქ გაზაფხული ახალი სტილით იწყება

—

ყოველ შემთხვევისათვის დენიკინს ერთ-ერთ აქაურ სასტუმროში, რომლის სახელი დიდ საიდუმლოებით არის მოცული, დაუკვეთია ორი ოთახი.

—

მოვიდა რუსეთის სანავოსნო საზოგადოების გემი „შავი გველეშაპი“, რომელმაც მოიტანა 1000 ტონი დენიკინის ფულები.

—

15 დეკემბრიდან მუშა-მოსამსახურეებს გაუდიდათ ჯამაგირები 10,000%. ჯამაგირის მიღების დროს მოსამსახურეებს მიჰყავს თან ყველა ოჯახის წევრები. თან მიაქვთ ჩემოდნები, ხურჯინები, ტომრები და სხვ.

X.

დეპეშები რკ. გზის ხაზიდან.

—

ბათუმის სადგურის უფროსი ბ. ყაძახაშვილი ამ ბოლო ხანებში ძლიერ ავათ გახდა. გამოჩენილი მარჩიელის ბ. თუხარელის აზრით მისი მორჩენა ადვილია თუ დილას, შუადღეზე და საღამოს თითო მომსუქნო ტელეგრაფის მოხელეს გადააყლაპიებენ, მაგრამ ვინაიდან მომსუქნო ტელეგრაფისტი დღეს სანთლით საძებარია, ამისათვის ნატანების სადგურის უფროსმა ბ. ბურჭულაძემ დაივალა მისი აღმოჩენა.

—

დაბალ მოსამსახურეების ყლაპვას მიჩვეულმა რევიზორსა ბ. ცხადაძემ ამას წინათ რევიზორ ბ. მასხულიას ყლაპი უქნა, მაგრამ ვინაიდან მასხულია ძვალ, მსხვილი გამოდგა ცხადაძეს ყელში გაეხირა. —ამბობენ, აპერაციას ვერ გადაიტანსო.

უხილავი.

---

*) ალბათ ეს „მერცხლები“ სხვა ჯურის უნდა იყოს, ვინაიდან ჩრდილოეთიდან მოფრინავენ და არა სამხრეთიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

,,სამსონ ძლიერმა ერთი ვირის ყბით 3000 ფილისტიმელი დახოცა". (,,დაბადება")

დენიკინი. მეგობარო, ამაზე მეტი გასაჭირი არ დამადგება. მათხოვე შენი ყბა...

ვირი. ეხლა გვიან არის, ჩემო კარგო! უმჯობესი იქნებოდა, თავის დროზე ჩემგან ჭკუა-დარიგება გეთხოვა.

ნავთლუღიდან

(რადიოთი).

სამხედრო ჰოსპიტლის მოსამსახურეებმა დაადგინეს გაფიცვა გამოუცხადონ პროფეს. კავშირს.

— დადგენილია გამოიცეს საანკეტო ფურცელი თუ რამდენი და (რა პირობებში) აღმოჩნდება მსურველი რომ საავათმყოფოდან გაიტანოს დეზერტირის ბაზარზე გასაყიდათ ნივთები. მსურველს შეუძლიან სანიმუშო საგნების ნახვა განყოფილების უფროსეზთან. მომეტებულ ფასებში გაიტანება: ზიწრები, საბნები, ხალათები, პერანგები და მისი ამხანაგები. ექსპორტის საერთო ხელმძღვანელათ და უფროს ინსტრუქტორათ ითვლება ბ-ნია.

ადმინისტრაციამ ადგილობრივ მოსამსახურეთა კლუბს ჯერ-ჯეროობით შემოსწირა 10,000 მან. ელექტრონის ლამპები, ყველა მწერლების და მოღვაწეების სურათები, გარდა დამსახურებულ მოღვაწის ს. ზურგიელიძისა, რაიც მიუტეევებულ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს.

აბრუხმანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო ომი.

პატარები. ჯერ არა გვიშავს რა, სანამ ესენი ერთმანეთს სჭამენ.

რკინის გზის ქრონიკა

იქონია რა მხედველობაში რკინის გზის სამმართველომ სურსათ-სანოვაგოს კრიზისი, მშვენიერად ნოაწყო ორი ვაგონი—რესტორანი, რომელიც დადის ტფილისსა და ბათუმს შორის. ვაგონები მეტად დიდ ფასად არიან იჯარით გაცემული—თვეში 5000 მანეთად თითო. მოიჯარადრეს ფრიად საყურადღებო მიზნები აქვს დასახული ვაგონების ექსპლოატაციისა.

ჯერ ერთი რომ შესაძლებელი იქნება გატანა ბათუმში სხვა და სხვა მაგარ სასმელებისა, რითაც შემსუბუქებული იქნება იქ იმ საქონლის კრიზისი. მეორე ის, რომ საშუალება იქნებათ № 1 და 2 მატარებლის მგზავრებს ისარგებლონ მგზავრობის დროს საუკეთესო სანოვაგით ხელმისაწდომ ფასებში, რითაც აგრედვე შემსუბუქებული იქნება მათი ჯიბეები. რკინის გზაც მოგებული იქნება, რადგან ხუთი ათასი მანეთიც ფულია.

— მთავარ სახელოსნოს მოსამსახურეებმა მადლობის ადრესი მიართვეს სამექანიკო სამსახურის ბუხჰალტერს მუმლაძს, რადგან იგი დიდის ყურადღებით ეპყრობა მათ მოთხოვნილებებს.

ლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციის ამბები.

ქ. ყვირილა (შორაპნის მაზრა).

ადგილობრივ ქალქის გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს აჯამეთის სახაზინო მამულში ერთი მილიონი საჟენი შეშა და მით პირველ ყოვლისა დაკმაყოფილოს ვაჭრები, როგორც სათუთნი და სიცვეს შეუჩვეველნი არსებანი.

—

იმავე გამგეობის დადგენილებით გადაწყდა: ვინაიდან შეუძლებელი შეიქნა ქალაქის ქუჩებში ტბების დაშრობა, გამოწერილ იქნას იტალიიდან საჭირო რიცხვი ნავებისა, რომ მით მოქალაქეს საშვალება ექნეს ქალაქ ს ქუჩებში მიმოსვლისა.

—

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა: ვინაიდან მთელს მაზრაში გზების და ფოსტა-ტელეგრაფის საქმეები სავსებით მოწესრიგებულია, ამისათვის, რომ ტყვილად არ მოუხდესთ ყოფნა დიდსა და მუდმივ შტატს ტეხნიკ-ინჟინერებისას ეხლავე შეუდგეს სად. საჩხერედან რკინის შტოს გაყვანას შუაგულ ოსეთამდის.

—

ზესტაფონის რაიონის კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ ნახევარი წლის დაუღალავი შრომის შემდეგ სავსებით დაკმაყოფილა სურსათ სანოვაგით და შაბიამან-გოგირდით რაიონის მცხოვრებნი. ახლა, როდესაც ყველაფერი მოწესრიგებულია, გამგეობამ საჭიროთ დაინახა სამიკიტნოს გახსნა.

—

შავი გენერლის მოლოდინში ზესტაფონის „ბობოლები“ საკმაოთ ირაზმებოდენ; მაგრამ როცა გაიგეს, რომ დენიკინს ჭანდრაკულათ მიუდის საქმე და დაგროვილი იარაღები მათ აღარ გამოადგებათ, თავისით დანებდენ ადგილობრივ გვარდიის შტაბს და იარაღსაც აბარებენ.

პროლეტარი.

ზესტაფონი. ვინაიდან 29 ნოემბრის შინაგან საქმეთა მინისტრის სავალდებულო დადგენილება იარაღის ტარების და შენახვის შესახებ „არ ეხებოდა“ ზესტაფონის ნაციონალ-დემოკრატების ზოგიერთ „მოღვაწეებს“, განსაკუთრებით მ. გვალიას (ქალაქის და ერობის ხმოსანია), რომელსაც გვარდიის მიერ საყოველთაო ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა სამი ვინტოვკა პატრონებით და სხვებთან ერთათ „უკანონოთ“ მიუთითეს ჯარიმაზე, ან ციხეზე, სასწრაფოთ აღძრეს შუამდგომლობა „ივერიის“ წინაშე, რათა განუმარტონ მთავრობას, რომ დადგენილება არას შემთხვევაში არ ვრცელდება ზესთაფონის ნაციონალ-დემოკრატ „მოღვაწეებზე“ და იხსნან მინისტრის დადგენილების (ადგილობრივ თვითმმართველობის გამოქვეყნებულ ვადის გასვლის შემდეგ) გვარდიის შტაბის მიერ კანონიერათ ასრულებისაგან რის შესრულება „ივერიამაც“ პირნათლათ იკისრა.

მართაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ჩემო ნიკო, საჭიროა დეზერტირის ბაზრისკენ იჩქარო. დღეს ეგ ორი ნაჭერი ვიკმაროთ: აი ამ ძველი შარვლით იყიდე 3 გირვანქა ხორცსა და ხუთ გირვანქა პურს; აი ამ რუბაშკით კართოფილს, ქინძს, ოხრახუშს და სტაფილოს.

რკინის გზაზე.

პარტიულ ამხანაგთა შორის გავრცელებული ახალი ავათმყოფობა ინტრიგა, რომელსაც ხელს უწყობდა საავათმყოფო, საექიმო-სასანიტარო კომისიის წყალობით განელდა, მოსალოდნელია ახალ არჩევნების შემდეგ მისი სრული ლიკვიდაცია.

— დანიშნული პარტიული კრება წევრთა მრავალ რიცხოვანობისა გამო გადაიდო, რადგანაც სამმართველომ ვერ დაიტია.

— კომერციულ სამსახურისგან დანიშნულია ჯილდო ვინც მოიტანს მასთან შუადღისას დაკარგულ სარკეს—ნიშანი: ვარაყიანი ჩარჩო და იმგვარივე რგოლი.

— საშემოსავლო ნაწილში ნამდვილ უფროსის დაბრუნების შემდეგ დაიწყო ხელ ახალი გამოსავლები, ზომებია მიღებული მის მოსასპობათ.

— დეპარტამენტთან არსებული სატერმინოლოგიო კომისია ნიშნავს საჯარო ვაჭრობას ქართულ-რუსულ ლექსიკონების ლიკვიდაციისთვის;

— სტამბის შესავალ კარებში დასადგმელათ შეკვეთილია მუშებისაგან გაძევებულ უფროს დეკაპრელევიჩის ბიუსტი.

— ახალი წლიდან სასურსათო კომიტეტმა დაიწყო დარიგება შემდეგ საქონლისა: შაქარი ქირვანქა 25 კ., ფხვნილი—15 კ., ქიშმიში—9 კ., თაფლი—10 კ., ნიგოზი—7 კ, ლობიო—3 კ., ამერიკული ფეხსაცმელი—6 მ. 50 კ., ჩითი ყველა ხარისხისა—12 კ. (ვისაც რამდენი დასჭირდება დეზერტირის ბაზარში გასაყიდათ) და სხ...

„—რი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი უებარი წამალი ყოველგვარ სენისათვის

„ეშმაკის მათრახი“.

ყველა ექიმები ერთხმად აღიარებენ, რომ „ეშმაკის მათრიხმა“ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა სამკურნალო მეცნიერებაში.

„ეშმაკის მათრახი“ ქიმურ ლაბორატორიების გამოკვლევის თანახმად წარმოადგენს შესქელებულ სიცილს, რომლის წვეთები ჰკურნავს ყოველგვარ სნეულებას.

„ეშმაკის მათრახი“ ხელს უწყობს სისხლის მოძრაობას და სპობს სისხლ-ნაკლებობას.

„ეშმაკის მათრახი“ ჰკურნავს ჭლექს, რადგან სიცილისაგან სკდება ფილტვის მუწუკები.

„ეშმაკის მათრახი“ სპობს კუჭის კატარს.

„ეშმაკის მათრახი“ ჰკლავს მელანქოლიის ბაქტერიებს!

„ეშმაკის მათრახი“ წარმოადგენს აგრეთვე უუნოეიერეს ნივთიერებას: დღევანდელ შიმშილობის დროს „ეშმაკის მათრახი“—მისწრებაა: ვინც სანოვაგის ნაკლებობას განიცდის, ვურჩევთ შეიძინოს „ეშმაკის მათრახი“ და წაუკითხოს მშიერ ცოლ-შვილს:—სიცილი დაავიწყებს მათ შიმშილს!

ექიმებმა საბოლოოდ შეიმუშავეს შემდეგი რეცეპტი „ეშმაკის მათრახიან“ წამლისა.

Rp. „ერთობა“—0,0.
„საქართველო“—0,00.
„სახალხო“—0,000.
„ეშმაკის მათრახი—100.0.

M. D. S. თითო ცალი, კვირაში ერთხელ.

ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ რომ აფთიაქებმა დაიტაცეს „ეშმაკის მათრახი“ და, ჩვეულებისამებრ ერთი ათასად ჰყიდიან ამ ეუბარ წამალს.

აჩქარდით და შეიძინეთ პირდაპირ ჩვენგან.

ჩვენთან ღირს—ცალი 6 მანეთად.

ახვლედიანის და სხვა აფთიაქებში —ცალი 6000 მანეთად.!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვცხოვრობდი ბაქოში, — გამაძევეს, ვცხოვრობდი თფილისში, გამაძევეს, რუსეთში წასვლა სახიფათოა... მდგომარეობას ვეჭვობ, ვისმე შეშურდეს.

დეპეშები.

ტყიბული. მაღაროების საქმე ჩინებულათ მიმდინარეობს, რასაც ნათლად ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ამ ორი წლის განმავლობაში მას რამოდენიმე პატრონი გამოეცვალა. სომხის კაპიტალისტებს ის სამხედრო სამრეწველო კომიტეტმა წაართვა; სამხედრო სამრეწველო კომიტეტს განსაკუთრებულმა კომიტეტმა; განსაკუთრებულ კომიტეტს მომარაგების კომიტეტმა; მომარაგების კომიტეტს გზათა სამინისტრომ და სხვ. და სხვ. იმედი აქვთ, რომ ახლო მომავალში ხუთი ექვსი პატრონი სხვა გამოეცვლება.

ვინაიდან ტყიბული ქვა-ნახშირით ძლიერ მდიდარია, ამისგამო ადგილობრივ საავათმყოფოებში სიბრ 0,000156 გრადუსამდე აიყვანეს. ავათმყოფობის მსურველთა რიცხვი გაიზარდა.

უკვე ცნობილია, რომ მაღაროს სიბნელეში მიჩვეულ თვალს ძლიერ სწყენს სინათლე (მეტადრე ელექტრონისა). როგორც იქნა ადმინისტრაციამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიგნო ეს ჭეშმარიტება და მუშების ბინებში სინათლე მოსპო.

შაითანი.

—

აცანა. ადგილობლივი სამკითხველოს შენობა ღამის გასათევ ბინათ დაეთმო ადგილობრივსავე ბოგანო თხებს, ამიტომ ადგილობრივმა ვაჭრებმა უსაქმოთ დარჩენილ ახალგაზრდათა განსავითარებლათ დაარსეს ნარდისა და კარტის სათამაშოები

ანჩხლი.

ძველი მუშა.

(ნამდვილი ამბავი).

დომენტი თავდუმაძე ძველი მუშა იყო.

ის იყო საქმის კაცი. თეორიის მას არაფერი სწამდა. მართალია ყველა კრებებს აუცილებლივ ესწრობოდა, მაგრამ კამათის თუ სხვა თეორიული კითხვის გარჩევის დროს მუდამ სთვლემდა. სამაგიეროთ, როგორც კი დადგებოდა რაიმე პრაქტიკული საკითხი, დომენტი მაშინვე თვალებს აჭყეტდა, რაგინდ ტკბილ ძილში ყოფილიყო.

არა ლეგალური სტამბის მოწყობა, აკრძალული ლიტერატურის წაღებ წამოღება, იარაღის შენახვა, დემონსტრაციებზე ყველაზე წინ გასვლა... აი ეს იყო მისი „სტიქია“.

ციხე, ციმბირი, ყაძახების მათრახი—არცერთი არ დაჰკლებია დომენტის, მაგრამ ყველა ამას ის ითმენდა დინჯათ და აუშფოთებლათ.

პირიქით თუ ხანდახან დაუგვიანდებოდათ ჟანდარმებს მისი დაჭერა, ან დემონსტრაციის დროს მათრახი არ მოხვდებოდა,-დომენტი გულში რაღაც უკმაყოფილებას გრძნობდა და ეჭვი შეჰქონდა თავის თავზე.

ასეთ შემთხვევაში ის გააორკეცებდა თავის საქმიანობას და რა თქმა უნდა, ჩქარა ამოყოფდა თავს მეტეხში.

ერთ ასეთ გაორკეცებული მოქმედების დროს, მსოფლიო ომის ხანაში, მოასწრეს ჟანდარმებმა და ერთი წლის მეტეხში ჯდომის შემდეგ—ტურუხანის მხარეში ამოაყოფიეს თავი.

ეს კი ისეთი მხარეა, სადაც თვით მსოფლიოს მანათობელ მზესაც მოკლებული აქვს ენერგია, არამც თუ თფილისში სითბოს შეჩვეულ ადამიანს!..

ოთხი წელიწადი გაატარა აქ დომენტიმ. მეხუთე წლის დასაწყისში კანტი-კუნტათ მოვიდა ხმები „მთავრობაძე გარდიცვალაო“. შუა გაზაფხულზე ეს ხმები გამართლდა და მრავალ სხვა ამხანაგებთან ერთად დომენტიც, სამშობლოსკენ დაბრუნდა, სადაც მოატანა ზაფხულის შუა რიცხვებში. დომენტის კრებებზე წინანდებურათ აღარ ეძინა, რადგან მეტის მეტი ხმიანობა და ყაყანი იყო, მაგრამ აღარც იმდენათ აინტერესებდა რადგან ნებადართული იყო! თან წლოვანობამაც და ციხე-ციმბირმაც თავისი კვალი დააჩინა დომენტის ჯანსაღობას.

ის ნელ-ნელა ჩამოშორდა ცხოვრების ქარტეხილს ამ სიძვირისა და სიმშილის დროს ზრუნავდა მხოლოდ იმაზე, როგორმე დაეკმაყოფილებია თავისი აუცილებელი მოთხოვნილებანი. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა დომენტი, როდესაც ის მიიწვიეს 28 დეკემბერს არამიანცის სახლში მუშათა სასახლის გახსნის ზეიმზე.

ზეიმის დაწყებამდი დომენტიმ დაათვალიერა სახლი, ავიდა მაღლა სართულებში, ბანიდანაც გადიხედ-გადმოიხედა და ძლიერ კმაყოფილი დარჩა. სხვათა შორის სახლის მეხუთე სართულში რამდენიმე ცარიელი ოთახიც ნახა და გულში მათ შესახებ ნატვრის ნიავმა გაურბინა.

ზეიმი დაიწყო. ორატორების სიტყვას გულდასმით ისმენდენ. დომენტიმ ჩასთვლიმა მაგრამ უცებ მქუხარე ტაშმა გამოაფხიზლა. ალფესი ხელაძე ხმა მაღლა ლაპარაკობდა. დომენტი სმენად გადაიქცა.

„თფილისის პროლეტარიატი ხსნის მუშათა სასახლეს და ხმა მაღლა აცხადებს საქვეყნოთ, რომ დღეიდან მუშათა კლასს აქვს თავშესაფერი, საკუთარი ბინა“—ამბობდა ხელაძე.

დომენტიმ ყურები ცქვიტა.

„ეს ჩვენ იმას გვიჩენებს რომ მუშები გამოდიან თავიანთი ბნელი, ვიწრო ქუჩებიდან და იკავებენ საუკეთესო სახლებს ჩვენ დედა ქალაქ თბილისში“-განაგრძობდა მეორე, უფრო ავტორიტეტული ორატორი, რომლის სიტყვები კანონი იყო დომენტისთვის.

ამ სიტყვების გაგონებაზე დომენტის სახე გაუბრწყინდა, გულმა სიხარულით ტოკვა დაუწყო.

ბინის საკითხი,-ეს მეტად მტკივანი ადგილი იყო დომენტისთვის. ნაძალადევში 20 მანეთს იხდიდა თვეში პატარა ნოტიო ოთახში და იმასაც ამადლიდა სახლის პატრონი.

— მაშ მე შემიძლია დავიჭირო ის ოთახი, გაიფიქრა დომენტიმ—ეს ხომ ჩვენი სასახლე ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილა! მეც ხომ ნაამაგევი მაქ რევოლიუციაში,- ყველაზე უწინ მე მეკუთვნის აქ დასახლება!..

არც კი აცალა ზეიმს დასრულება. დომენტი გამოვიდა დარბაზიდან და ეაეშურა მეხუთე სართულისკენ, სადაც ოთახი ეგულებოდა. დომენტიმ ოთახის კარები გამოკეტა, რომ მის მოსვლამდი არავის დაეჭირა, და საჩქაროთ გაემართა თავის ნაძალადევისაკენ.

მისვლისთანვე შეჰკრა თავისი ბარგი და გამოუცხადა სახლის პატრონს მუშათა სასახლეში თავის გადაბარგების შესახებ რითაც ეს უკანასკნელი ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

საათის ხუთი იქნებოდა, როდესაც დომენტი თავისი ბარგით მუშათა სასახლის კარებს მიადგა მაგრამ მხევალმა შიგ ბარგი არ შეატანია, გარეშე პირებისათვის აქ ოთახი არ არის. —უთხრა დომენტის.

ბევრი უმტკიცა დომენტიმ რომ ის გარეშე პირი არ იყო, მაგრამ ამაოდ, არავითარმა მტკიცებამ არ გასჭრა.

დაძმარებული დაუბრუნდა დომენტი თავისი ბარგით ნაძალადევის ძველ ბინას, მარა დახვეთ უბედურებას მისი ბინა უკვე სხვას დაეჭირა.

არავითარმა ხვეწნა მუდარამ რა თქმა უნდა არ გასჭრა სახლის პატრონსა და ახალი მდ.მურზე. დომენტი იძულებული შეიქნა მიემართა თავის ძველ მეკობრისთვის რათა მას მიეცა მისთვის დროებით თავშესაფარი თავის ვიწრო ბნელ ქოხში.

დღემდის დაეძებს ოთახს დომენტი მარა ჯერაც ვერ უპოვნია!..

ს. თ—ია.

განცხადება.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ მის მიერ ინიშნება სასენატორო რევიზია საქართველოს რკინის გზის მთავარ ხაზისა სადგურ ფოთლიდან ვიდრე ფოთამდე და ნატანებამდე. მანძილი ლიანდაგისა ფოთლიდან ხაშურამდე შეადგენს სენატორ ეშმაკის (13 წლისაა) რაიონს, ხოლო ხაშურიდან ფოთამდე და ნატანებამდე—სენატორ თაგუნას (11 ნახევარ წლისაა) რაიონს. ამ ორ სენატორს ევალება: 1) ბეჯითი დათვალიერება ყველა სადგურისა და ამ სადგურების მილიციონერებისა. 2) ჰირადათ გაცნობა აღნიშნულ მილიციონერებისა და მათი უფროსებისა. 3) ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ რა მიზეზია, რომ მგზავრები ავიწროებენ რკინის გზის მილიციონერებს და ვაგონებში ბარგის შეტანისთვის მეტად მცირე გასამრჯელოს აძლევენ მათ. 4) შემოწმება იმ ხმებისა, თითქოს თავხედი მგზავრები ზრდილობიან მოპერობას მოითხოვდენ მილიციონერებისაგან და მათ ლანძღვა-გინებაზე პროტესტს აცხადებდნენ. 5) დაწვრილებითი მოხსენების წარმოდგენა „ეშმაკის მათრახის“ რედაქციისთვის ამ კითხვების შესახებ, რათა უახლოეს ნომერში ეს მოხსენება უკლებლივ გამოქვეყნებულ იქმნას ჩვენი ქვეყნის საყურადღებოთ. სენატორ ეშმაკისა და თაგუნას რევიზია დაიწყება ამ თვის 25-ს და გაგრძელდება ვიდრე თებერვლის 5-მდე.

მთავრობას და საზოგადოებრივ დაწესებულებებს წინადადება ეძლევათ, ეოველგვარი შემწეობა აღმოუჩინონ ბ. ბ. სენატორებს.

„ეშმაკის მათრახი“-ს რედაქცია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი. მშვენიერო, მე გამომყევ; გავსწიოთ ერთად სოციალიზმის სამეფოში.
მოხალისე. ჩემო ლამაზო, მე გამომყევი, ჩემთან იცხოვრებ უზრუნველათ და უდარდელათ.

ფოსტა.

ხაზინელს. თქვენ გვწერთ: „უმორჩილესად გთხოვთ მომითავსოთ ეს პატარა წერილი ისეთ ალაგას, სადაც საჭიროთ დაინახავთო“.

ჩვენ კი საჭიროთ დავინახეთ მოვათავსოთ იგი სარედაქციო კალათში.

ხიკოს. თქვენს „გურულს სცენას“ მარილი აკლია.

ჭკუა-ტკბილელას. გვთხოვთ თქვენი მისალოცი ლექსი უთუოდ „საახალწლო“ ნომერში დაიბეჭდოს. წელს ვეღარ მოვასწარით თქვენი სურვილის ასრულება.

მარკოვიჩს. თქვენ იწერებით:

„სატრფომ მთხოვა: ჩემს სახელზე
დამიწერე შარადაო,
და სულ უბეში ვატარებ
შენდა სახსოვარადო“.

ჩვენ, (განსაკუთრებით ბ-ნი კოლო) ძლიერ მოხარული ვართ, რომ თქვენს სატრფოს ასეთი მიდრეკილება ჰქონია ბარათებისადმი, ხოლო თუ თქვენს თხოვნას არ ვასრულებთ და შარადას არ გიბეჭდავთ, ეს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მაშინ თქვენმა სატრფომ მთელი „ეშმაკის მათრახი“ უნდა ატაროს უბით და ეს კი ძნელია. უმჯობესია შარადა პირდაპირ მას გაუგზავნოთ.

სახელმწიფო სტამბა.